22/04/2020

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია – სასწავლებლის აკადემიურ კალენდარში შეტანილი დროებითი ცვლილება

სასწავლებელი დისტანციურ სწავლებას 27 აპრილის ნაცვლად 21 აპრილიდან განაახლებს. თსას-ის აკადემიურ კალენდარში შესული ეს ცვლილება საშუალებას მოგვცემს, აღვადგინოთ გაცდენილი სალექციო საათები. ამ სიახლის შედეგად სემესტრის კიდევ ერთი კვირით გახანგრძლივება აღარ დაგვჭირდება.
ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა სასწავლებელის გადასვლა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, რაც მისთვის (ისევე, როგორც, ზოგადად, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემისთვის) გარკვეული გამოწვევა იყო. თუმცა, ამავე დროს, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ რექტორატის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გულმოდგინე მუშაობისა და სტუდენტთა მნიშვნელოვანი თანამშრომლობის შედეგად მონდომებით ვუპასუხეთ ამ გამოწვევას და სასწავლო პროცესის უწყვეტობა შევინარჩუნეთ.

— tsas.ge